

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
ნიკანდრო გრიგალაშვილის მიერ გაწეული მუშაობის
ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს პერიოდს გასულ 2014 წლის 1 აგვისტოდან დღემდე.

როგორც საკრებულოს წევრი მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს სხდომებში და ჩართული ვარ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის განხილვის პროცესში, ასევე ვარ ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი, სადაც მონაწილეობას ვიღებ შემოსული საკითხების განხილვაში. ვაწარმოებ შეხვედრებს მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან.

მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოიკვეთა რიგი პრობლემები, სადაც პრობლემურ საკითხებად რჩება გზების და წყალმომარაგების ქსელის გაუმართაობა, ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა სოციალურად დაუცველ პირთა გაუსაძლისი პირობები, მოსახლეობა მოითხოვს საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სამსახურებთან ერთად შესაძლებლობის ფარგლებში ნაწილობრივ მოგვარდა.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, მუშაობის მანძილზე შეძენილი გამოცდილებით, უფლებამოსილების განხორციელების დარჩენილ ვადაში, მაქსიმალურად შევეცდები მოსახლეობის პრობლემების გათვალისწინებით აქტიურად ჩავერთო პრობლემების გაცნობასა და მათ მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი

/ნიკანდრო გრიგალაშვილი/